



1983

პროლეტარებო
უველა
კვეყნისა,
შეერთდით!



585

საქართველოს
აბჭოთა
ოციალისტური
რესპუბლიკის

№ 7

1983

უმაღლესი საბჭოს

42

უფყეზეზი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბაზროვნა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს
უწყებები



№ 7 (474)

ივნისი

1983 წელი

შ ი ნ ა რ ს ი

ბანყოფილება პირველი

211. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. შ. მ. ეცადა-შვილის საქართველოს სსრ მინისტრის — საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებოთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.
212. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. დ. ა. ლორიას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.
213. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ სისხლის საბართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულების გამოყენების წესის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 29 დეკემბრის დადგენილებაში დამატებათა შეტანის შესახებ
214. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე.
215. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. გ. ნ. ყოლბაიას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ.

ბანყოფილება მეორე

216. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
217. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ დამსახურებული ეურნალისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

- 218. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
- 219. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა ჯგუფისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.
- 220. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.
- 221. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის მელორაციისა და წყალთა მეურნეობის მუშაკებისათვის საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.
- 222. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ ავშირის პიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის ამიერკავკასიის რეგიონალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.
- 223. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
- 224. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრის მსახიობებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
- 225. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.
- 226. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ანხ. ნ. ვ. მალაზონიასათვის „საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
- 227. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.
- 228. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
- 229. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
- 230. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ანხ. ა. გ. კიკნაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული გეოლოგის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
- 231. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ანხ. ი. მ. ლეჟავასათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
- 232. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ანხ. თ. ნ. შანშიაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

211 ამხ. შ. მ. ეცაღაშვილის საქართველოს სსრ მინისტრის — საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. შოთა შათეს ძე ეცაღაშვილი საქართველოს სსრ მინისტრის — საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 2 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

212 ამხ. დ. ა. ლორიას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. დურმიშხან ანთიმოზის ძე ლორია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 6 ივნისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

213 „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლი-
 ლეზებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს
 სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 29 დეკემბრის ბრძა-
 ნებულების გამოყენების წესის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღ-
 ლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 29 დეკემბრის დადგენილება-
 ზი დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზი-
 დიუმის 1982 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულების გამოყენების წესის თა-
 ბაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 29
 დეკემბრის დადგენილებას (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები,
 1982 წ., № 12, მუხ. 372) დაემატოს შემდეგი შინაარსის 8¹, 8², 8³, და 8⁴ მუხ-
 ლები:

„8¹. დაწესდეს, რომ პირები, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის სახით
 სასჯელს იხდიან საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთ-
 რებული ნაწილის მუხლებით გათვალისწინებული იმ დანაშაულისათვის (95-ე
 მუხლის პირველი ნაწილი, 99-ე და 125-ე მუხლები, 143-ე მუხლის პირველი
 ნაწილი, 147-ე მუხლი, 165-ე მუხლის მესამე ნაწილი და 169-ე მუხლის პირვე-
 ლი ნაწილი), რომლებიც 1982 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულების რედაქცი-
 ით არ ითვალისწინებენ სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით, უნდა გათა-
 ვისუფლდნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან.

ასეთი პირების სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების საკითხს
 სასამართლო განიხილავს თავისუფლების აღკვეთის ადგილის ადმინისტრაციის
 წარდგინებით, სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით საქართველოს სსრ სისხ-
 ლის სამართლის საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლით გათვალისწინებული
 წესით, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა განაჩენი ჯერ არ არის შესული კანონიერ
 ძალაში, ან არ არის აღსრულებული — განაჩენის დამდგენი სასამართლო.

8². დაწესდეს, რომ იმ შემთხვევაში, როცა პირი მსჯავრდებულია ჯარიმით
 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის
 მუხლებით გათვალისწინებული იმ დანაშაულისათვის, რომლებშიც ჯარიმის
 ოდენობა 1982 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულებით შემცირებულია 147-ე
 მუხლის პირველი და მეორე ნაწილები, 169³ მუხლის მეორე ნაწილი და (178-ე
 მუხლის მესამე ნაწილი), განაჩენით დადგენილი ჯარიმა გადახდევინებული
 უნდა იქნეს განაჩენით დაწესებული ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს ახალი
 რედაქციით განსაზღვრული მაქსიმალური ოდენობისა.

გადახდევინებული ჯარიმის თანხა უკან არ დაუბრუნდებათ.

აღნიშნულ საკითხს განიხილავს განაჩენის დამდგენი სასამართლო ან
 სასამართლო მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საქართვე-

ლოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

83. დაწესდეს, რომ 1982 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულების რედაქციით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის დებულებები, რომლებიც ითვალისწინებენ დანაშაულის ახალ შემადგენლობებს, მაკვალიფიცირებელ ნიშნებს, დამატებით სასჯელებს ან სანქციების გადიდებას, არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებსაც მსჯავრი ედებათ 1983 წლის 1 იანვრამდე ჩადენილ დანაშაულთათვის.

84. იმ შემთხვევაში, როცა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლებით ადრე გათვალისწინებული იყო ქონების კონფისკაციის როგორც სასჯელის დამატებითი ღონისძიების დანაშინის შესაძლებლობა, ხოლო 1982 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულების რედაქციით სასჯელის ამ ზომის გამოყენება სავალდებულოა, იმ პირთა მიმართ, რომლებსაც მსჯავრი ედებათ 1983 წლის 1 იანვრამდე ჩადენილი დანაშაულისათვის, გამოიყენება დანაშაულის ჩადენის დროისათვის მოქმედი კანონი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 16 ივნისი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

214 საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

„სისხლის სამართლის და შრომა-გასწორების კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ და „სსრ კავშირის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 26 ივლისის და 1982 წლის 15 ოქტომბრის ბრძანებულებების შესაბამისად და აგრეთვე საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსში („საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1971 წ., № 12, მუხ. 202; 1973 წ., № 9, მუხ. 175; 1977 წ., № 4, მუხ. 43; 1978 წ., № 2, მუხ. 51; 1981 წ., № 10, მუხ. 220; 1982 წ., № 5, მუხ. 121) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 82^ე მუხლში:

პირველ ნაწილში სიტყვების „სპეციალურად განკუთვნილ საერთო საცხოვრებელში“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „სამუშაოსაგან თავისუფალ დროს მსჯავრდებულის ყოფნა საერთო საცხოვრებლის ვარეთ დაიშვება მხოლოდ იმ შინაგან საქმეთა ორგანოს ნებართვით, რომელიც ზედამხედველობას ასორციე-

ლებს“ ამავე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „თუ კარგად მოიქცევიან, კეთილსინდისიერად მოეკიდებიან შრომას და ჰყავთ ოჯახი, მათ, შინაგან საქმეთა ორგანოს უფროსის დადგენილებით, შეიძლება მისცენ ოჯახთან ცხოვრების ნებართვა მათ მიერ დაქირავებულ ბინაში“;

მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „შვებულებაში“.

2. 82² მუხლში:

მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მსჯავრდებულის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე ამ კოდექსის 82¹ მუხლის მეოთხე და მეხუთე ნაწილებით გათვალისწინებული სასჯელის ღონისძიებანი“;

მუხლს მეორე ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი ნაწილი:

„მსჯავრდებული, რომელიც თავს არიდებს სამუშაოს ან სისტემატურად თუ ბოროტად არღვევს შრომის დისციპლინას, საზოგადოებრივ წესრიგს ანდა მისთვის დადგენილ ცხოვრების წესებს, შეიძლება დაკავებულ იქნეს შინაგან საქმეთა ორგანოს მიერ პროკურორის სანქციით ვადით არა უმეტეს ათი დღე-ღამისა განაჩენის აღსრულებისაგან თავის არიდების აღკვეთის და მასალების სასამართლოში გადაცემის მიზნით, განაჩენის შესაბამისად თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მისი გაგზავნის საკითხის გადასაწყვეტად“.

მესამე და მეოთხე ნაწილები შესაბამისად ჩაითვალოს მეოთხე და მეხუთე ნაწილებად.

3. კოდექსს 82³ მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი მუხლი:

„**მუხლი 82.** პირობით მსჯავრდებულ და პირობით გათავისუფლებულ პირთა წახალისებისა და სასჯელის ღონისძიებანი

კარგი ყოფაქცევისა და პატიოსანი შრომისათვის პირობით მსჯავრდებულ და პირობით გათავისუფლებულ პირთა მიმართ შინაგან საქმეთა ორგანოებს შეუძლიათ გამოიყენონ წახალისების შემდეგი ღონისძიებანი:

მადლობის გამოცხადება;

წინათ დადებული სასჯელის ვადამდე მოხსნა;

საწარმოს ადმინისტრაციასთან ერთად მიღებული გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებს გარეთ შვებულებაში გამგზავრება.

თუ პირობით მსჯავრდებული და პირობით გათავისუფლებული პირები კარგად მოიქცევიან, კეთილსინდისიერად მოეკიდებიან შრომას და ჰყავთ ოჯახი, მათ შინაგან საქმეთა ორგანოს უფროსის დადგენილებით შეიძლება მისცენ ოჯახთან ცხოვრების ნებართვა მათ მიერ დაქირავებულ ბინაში.

პირობით მსჯავრდებული და პირობით გათავისუფლებული პირები, რომლებიც სანიმუშო ყოფაქცევითა და პატიოსანი შრომით დაამტკიცებენ თავიანთ გამოსწორებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება წარდგენილ იქნენ ვადამდე პირობით გასათავისუფლებლად ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შესაცვლელად.

პირობით მსჯავრდებული და პირობით გათავისუფლებული მიმართ, რომლებიც არღვევენ შრომის დისციპლინას, საზოგადოებრივ წესრიგს, რეგისტრაციის ან მათთვის დადგენილ ცხოვრების წესებს, შინაგან საქმეთა ორგანოებს შეუძლიათ გამოიყენონ სასჯელის შემდეგი ღონისძიებანი: გაფრთხილება ან საყვედური.

პირებს, რომლებიც არღვევენ შრომის დისციპლინას, საზოგადოებრივ წესრიგს ან რეგისტრაციის წესებს, შინაგან საქმეთა ორგანოს უფროსის დადგენილებით შეიძლება ექვს თვემდე ვადით აეკრძალოს საერთო საცხოვრებლის გარეთ ცხოვრება, დადგენილ დროს საერთო საცხოვრებლიდან გასვლა, აგრეთვე გარკვეულ ადგილებში ყოფნა.

ამ მუხლით გათვალისწინებული წახალისებისა და სასჯელის ღონისძიებების გამოყენების უფლებით სრულად სარგებლობს შინაგან საქმეთა ორგანოს უფროსი, ხოლო ამ მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში—აგრეთვე პირობით მსჯავრდებულ და პირობით გათავისუფლებულ პირთა მიმართ განაჩენის აღმსრულებელი ორგანოს უფროსიც“.

4. 82⁴ მუხლი ჩაითვალოს 82⁵ მუხლად.

ამ მუხლის ბოლო წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ზედამხედველობის განხორციელების წესს და იმ საერთო საცხოვრებლების შინაგანაწესს, სადაც ამ პირებმა უნდა იცხოვრონ, ადგენს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო სსრ კავშირის პროკურატურასთან შეთანხმებით“.

დაემატოს მუხლს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

„შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლებააღკვეთილი და შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით გათავისუფლებული პირების საცხოვრებლად სპეციალურად განკუთვნილ საერთო საცხოვრებლებში შინაგანაწესით გამოსაყენებლად აკრძალული საგნების შეტანისა და უკანონო შენახვის აღკვეთის მიზნით ზედამხედველობის განმახორციელებელ შინაგან საქმეთა ორგანოების თანამდებობის პირებს უფლება აქვთ გასინჯონ ეს მსჯავრდებულები, აგრეთვე მათი კუთვნილი ნივთები და ჩამოართვან აკრძალული საგნები მითითებული წესების შესაბამისად. ჩამორთმეული საგნები მათი ხასიათისა და შეძენის გარემოებათა მიხედვით ჩაბარდება შესაინახად ან განადგურდება“.

5. 82⁵ მუხლი ჩაითვალოს 82⁶ მუხლად.

6. 82⁶ მუხლი ჩაითვალოს 82⁷ მუხლად.

7. 97-ე მუხლის მესამე ნაწილს სიტყვების „უწინდელ თანამდებობასა ან სამუშაოზე“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „გარდა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის მეექვსე ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა“.

8. 103-ე მუხლს სიტყვების „სამუშაოზე გაგზავნონ ის პირნი, რომლებიც მსჯავრდებული არიან გამასწორებელი სამუშაოების სხვა ადგილებში მოხდით“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ის პირნი, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან

თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოებით მუშაობის ადგილის მიხედვით და რომლებიც სასამართლოს მიერ სასჯელის მოსახდელად გაგზავნილი არიან სხვა ადგილებში“.

9. 105-ე მუხლში:

მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თუ პირი, რომელიც მსჯავრდებულია თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოებით სხვა ადგილას მოხდით, თავს არიდებს სასჯელის მოხდას, ამ სახის სასჯელის აღმასრულებელ ორგანოს შეუძლია მისცეს მას გაფრთხილება“;

მეექვსე ნაწილი შეიცვალოს შემდეგი შინაარსის ორი ნაწილით:

„თუ პირი, რომელიც მსჯავრდებულია თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოებით მუშაობის ადგილის მიხედვით, თავს არიდებს სასჯელის მოხდას, ამ სახის სასჯელის აღმასრულებელ ორგანოს შეუძლია სასამართლოში შეიტანოს წარდგინება, ხოლო საზოგადოებრივ ორგანიზაციასა და შრომით კოლექტივს — აღძრას სასამართლოს წინაშე შუამდგომლობა ამ პირის სასჯელის მოსახდელად სხვა ადგილას გაგზავნის შესახებ, მაგრამ მსჯავრდებულის საცხოვრებელ რაიონში.“

თუ თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოებით მსჯავრდებული პირი ბოროტად თავს არიდებს სასჯელის მოხდას, ამ სახის სასჯელის აღმასრულებელ ორგანოს შეუძლია სასამართლოში შეიტანოს წარდგინება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის შესაბამისად თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების მოუხდელი ვადის თავისუფლების აღკვეთით შეცვლის შესახებ“.

10. 107-ე მუხლის მეორე ნაწილი შეიცვალოს შემდეგი შინაარსის ნაწილებით:

„წარდგინებაში უნდა იყოს მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ მსჯავრდებულის ყოფაქცევას, მის დამოკიდებულებას შრომისადმი და სწავლებისადმი სასაჯელის მოხდის მთელი დროის მანძილზე. წარდგინებასთან ერთად სასამართლოში იგზავნება მსჯავრდებულის პირადი საქმე.“

მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან პირობით გათავისუფლება შრომაში სავალდებულო ჩაბმით ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულმა იკისრა ვალდებულება — სანიმუშო ყოფაქცევით და პატიოსანი შრომით დამტკიცოს თავისი გამოსწორება. ასეთ ვალდებულებას მსჯავრდებული წერალობით აძლევს შრომა-გასწორების დაწესებულების ადმინისტრაციას და სამეთვალყურეო კომისიას და სხვა დოკუმენტებთან ერთად დადგენილი წესით წარდგინება სასამართლოს შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან მსჯავრდებულის პირობით გათავისუფლების საკითხის გადასაწყვეტად.

თუ სასამართლო უარს იტყვის შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან მსჯავრდებულის პირობით თავისუფლებაზე ან ვადადვე პირობით გათავისუფლებაზე ანდა სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლაზე, განმეორებით წარდგინება ამ საკითხზე შეიძლება არა უადრეს ექვსი თვის შემდეგ უარის თქმის შესახებ განჩინების გამოტანის დღიდან.

შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლება აღკვეთილი და შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით გათავისუფლებული პირები, რომლებიც გაგზავნილი არიან განაჩენით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება წარდგენილ იქნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან პირობით განსათავისუფლებლად შრომაში სავალდებულო ჩაბმით, არაუადრეს ერთი წლის შემდეგ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გაგზავნის შესახებ განჩინების გამოტანის დღიდან“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 21 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

215 ამხ. პ. ნ. ყოლბაიას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:
არჩეულ იქნეს ამხ. გიორგი ნიკოლოზის ძე ყოლბაია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ და დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 22 ივნისი.

პრეპანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

216 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობისას გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით „**ხანძარზე მამაცობისათვის**“ დაჯილდოვდნენ:

ბასილაძე ნოდარ ვლადიმერის ძე — აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების № 11 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის მეხანძრე.

ბახტაძე შოთა მურადის ძე — აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების № 10 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსი მეხანძრე.

ბეჟანიძე მიხეილ ბილალის ძე — აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე.

ბოლქვაძე ზაურ უშანგის ძე — აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული სამსახურის განყოფილების უფროსი.

გოგიტიძე თამაზ ემინის ძე — აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების № 10 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ქვეგანყოფილების მეთაური.

მსხალაძე ალექსანდრე მემედის ძე — აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების № 11 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსი მეხანძრე.

კულეჯიშვილი ოთარ ოსმანის ძე — აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების № 14 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ქვეგანყოფილების მეთაური.

სემერჯანი არტემ მათეოსის ძე — აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების უფროსი ინსპექტორი.

ჯორთმენაძე ილია ალიოსმანის ძე — ბათუმის სახალხო დებუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

217 „საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის და ჟურნალ „დროშის“ პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი“:

ბერუღავას ხუტა მიხეილის ძეს — ჟურნალ „დროშის“ მთავარ რედაქტორს.

დემეტრაშვილს ოთარ ივანეს ძეს — ჟურნალ „დროშის“ რედაქციის განყოფილების გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 6 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

218 „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის და ჟურნალ „დროშის“ პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“:

არჩვაძეს თარხან კონდრატეს ძეს — ჟურნალ „დროშის“ ფოტოკორესპონდენტს.

ბალიაშვილს ვლადიმერ პავლეს ძეს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის დამკაბადონებელს.

გიორგობიანს ოლღა ბიძინას ასულს — ჟურნალ „დროშის“ ყოფილ თანამშრომელს.

თავაძეს ქეთევან სტაქოს ასულს — ჟურნალ „დროშის“ რედაქციის უფროს ლიტმუშაკს.

ხანთაძეს რევაზ ნიკოლოზის ძეს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ამწყობს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 6 ივნისი.



ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ

219 რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველოების მუშაკთა ჯგუფისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის, ამ დარგის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

ახვლედიანს მურთაზ კონსტანტინეს ძეს — საწარმოო გაერთიანება „სოიუზინერგოლევპრომავეტომატიკის“ საწარმოო „საქენერგომსუბუქმრეწვის“ დირექტორს.

„საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“

ბურდულს ცილა ალიქსანდრეს ასულს — თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ფეიქარს.

გვაჯაიას ლუარა კაპიტონის ასულს — თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ამირანის“ დირექტორს.

გვარჯალაძეს თამარ ლევანის ასულს — თბილისის 1-ლი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მკერავს.

გოდერძიშვილს ნათელა ქიტესას ასულს — საფეიქრო მრეწველობის საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის გაემეს.

გულდამაშვილს ქეთევან იოსების ასულს — თელავის აბრეშუმის ძაფსახვევსაგრები ფაბრიკის მუშას.

დემეტრაშვილს გლადიმერ ალიქსანდრეს ძეს — თბილისის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისნის“ მუშას.

ვახტანგაძეს მედეა თომას ასულს — ქუთაისის ს. მ. კიროვის სახელობის საწარმოო სამკერვალო გაერთიანების მკერავს.

იობიძეს შალვა ლავრენტის ძეს — ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ბრიგადირს.

მრელაშვილს მზია არჩილის ასულს — თბილისის სართავი ფაბრიკის მრთველს.

მხეიძეს ანგი ვარლამის ძეს — თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონის“ ბრიგადირს.

ოდიშვილს გურამ არსენის ძეს — თბილისის მოდელოზი ფენსაცმლის ფაბრიკის დირექტორს.

ოსიტაშვილს თეიმურაზ მიხეილის ძეს — გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების მთავარ მექანიკოსს.

ოსიპიშვილს პელაგია ვლადიმერის ასულს — თბილისის ს. ორჯონიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მთავარ ინჟინერს.

პოპოვს ივანე ანასტასის ძეს — გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების მთავარი ინჟინრის მოადგილეს.



პალკანოვას მარიამ ვასილის ასულს — თბილისის მუდ-კამეოლის ნაწილი
ნატ „საბჭოთა საქართველოს“ ფეიქარს.

ტეზოვას მისურათ სიკოს ასულს — ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის
მუშას.

ჩერნოვას ევდოკია ნიკიტას ასულს — სოხუმის სამკერვალო ფაბრიკის
მუშას.

ციცაძეს თამარ პართენის ასულს — თბილისის ს. ორჯონიძის სახელო-
ბის სამკერვალო ფაბრიკის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარეს.

ცეციტინიძეს ფაცია ვასილის ასულს — მახარაძის აბრეშუმის ძაფსახვევ-
საგრეხი ფაბრიკის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარეს.

ცხადაძეს ოთარ გრიგოლის ძეს — საფეიქრო მრეწველობის საქართველოს
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს.

ჯერიაშვილს პავლე გიორგის ძეს — ტანსაცმლის მოდელების რესპუბლი-
კური სახლის ტექნოლოგს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი“

გვაძაბიას ნადეჟდა ივანეს ასულს — ცხაკაიას ხალიჩების კომბინატის
მთავარ მხატვარს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული მანწავლებელი“

ლაბარტყავას ლალი თომას ასულს — ცხაკაიას ხალიჩების კომბინატის
საბავშვო ბავა-ბალის დირექტორს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“

გავნიძე ელენე ონისიმეს ასულს — ხაშურის საფეიქრო-საგალანტერეო
ფაბრიკის მთავარ ეკონომისტს.

გეგიძეს ვალიკო თომას ძეს — რესპუბლიკური სამრეწველო სამკერვალო
გაერთიანების უფროსს

„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი“


ლაშქარაიშვილს ქსენია ისიდორეს ასულს — ქუთაისის ბამბის საქსოვი სა-
წარმოო გაერთიანების მთავარ ბუღალტერს.

მელნიკოვას ნატალია პეტრეს ასულს — საფეიქრო და მსუბუქი მრეწვე-
ლობის მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის სა-
ფინანსო განყოფილების გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ჰილავაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი შ. ლაშქარაშვილი.

78521



ბრძანებულაბა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

220 რესპუბლიკის ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის მუშაობის საკარტელოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის განვითარების დარგში ხანგრძლივი წყაფიერი მუშაობისათვის მიენიჭეთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

ასათიანს გიორგი გიორგის ძეს — ქუთაისის ლითონის ქარხნის უფროს ოსტატს.

გიგლაშვილს თენგიზ გიორგის ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქპოლიმერკონტეინერის“ დირექტორის მოადგილეს.

გუკასოვს ხაჩატურ არშაკის ძეს — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ დირექტორის მოადგილეს.

დოლიძეს ივანე ივანეს ძეს — ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტექნიკური განყოფილების უფროსის მოადგილეს.

იაშვილს გურამ გერონტის ძეს — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ დირექტორის მოადგილეს.

მეზრაძეს ჭემალ ვლადიმერის ძეს — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ მთავარ ინჟინერს.

ოშორიძეს ირაკლი ფიდოს ძეს — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსს.

ჭაცარავას მიხეილ აპოლონის ძეს — რაჭის სამთოქიმიური ქარხნის დირექტორის მოადგილეს.

შვანგირაძეს ეთერ ნიკოლოზის ასულს — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის ხარისხის მართვის განყოფილების უფროსს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი“

დლონტს ივანე გერასიმეს ძეს — მახარაძის მალაროთისამმართველოს აღმრიცხველ-გამომთვლელი მანქანის ოპერატორს.

„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“

აბურჯანიას ვლადიმერ ვლადიმერის ძეს — ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის უფროს ოპერატორს.

აკიმენკოს ვლადიმერ დიმიტრის ძეს — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ საამქროს უფროსს.

აღვერციანს მარტინ შარვაშის ძეს — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ საამქროს ზეინკალს.

ბენიძეს ვახტანგ სევერიანის ძეს — მალაროთსამმართველო „საქგუმბრინის“ მიწისქვეშა უბნის ზეინკალს.

ბოგდანოვას ტატიანა თევდორეს ასულს — საწარმოო გაერთიანება „საქპოლიმერკონტეინერის“ სათავე ქარხნის მუშას.

გოგაძეს ლამარა გიორგის ასულს — საწარმოო გაერთიანება „საქსაყოფაცხოვრებოქიმიის“ სათავე ქარხნის დამფასოებელს.

ვაზაგავეს ზაურ იოსების ძეს — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის საამქროს მებაპარატეს.

კირპას ანატოლი ვლადიმერის ძეს — ქუთაისის ლითოფონის ქარხნის საამქროს ექსკავატორის მძღოლს.

მეტრეველს პენრიხ სოკრატის ძეს — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ განყოფილების უფროსს.

რუდენკოს ვლადიმერ ნიკოლოზის ძეს — ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მეხელსაწყოეს.

ტარუნტავეს ვასილ ვასილის ძეს — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ საამქროს მებაკუმულატორეს.

ტუპიკიანს ეკატერინე ალექსანდრეს ასულს — საწარმოო გაერთიანება „საქსაყოფაცხოვრებოქიმიის“ პლასტმასების ჩამომსხმელს.

ფოჩხიძეს გიორგი თათოსის ძეს — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ საამქროს ელექტროზეინკალს.

ფუხაშვილს გივი ლენტოს ძეს — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ № 5 საამქროს საკომპრესორო დანადგარების მემანქანეს.

ფხაკაძეს ბიჭიკო ლაზარეს ძეს — ქუთაისის ლითოფონის ქარხნის ზეინკალთა ბრიგადირს.

შალიკიანს ოთარ ალექსანდრეს ძეს — მალაროთსამმართველო „ქუთბარიტის“ ყონეთის გაერთიანებული მალაროს გვირაბგამყვანს.

შაურას ზინაიდა ივანეს ასულს — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ № 3 საამქროს მებაპარატეს.

ხოდირიოვს პეტრე ესტატეს ძეს — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მტვირთავს.

ჯაფარიძეს თამარ სერმანის ასულს — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის საამქროს ლაბორანტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ლაშქარაშვილი.

პრდანიბუღებუბ სპარტველოს სსრ უმბლლესი სბბჯონს პრეზიდენტისა

221 რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დარგში ხანგრძლივ-კაბინათვის საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული მელიორატორი“

გობოზოვას ეთერ ვლადიმერის ასულს — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საქმთავარწყალმშენის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

გურასაშვილს რევაზ დავითის ძეს — საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის მელიორაციული სისტემების ექსპლუატაციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

შენგელიას ამირან შალვას ძეს — საპროექტო ინსტიტუტ „საქსახწყალპროექტის“ განყოფილების უფროსს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

ასათიანს არჩილ ივანეს ძეს — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საქმთავარწყალმშენის ტრესტ „წყალმშენის“ მმართველის მოადგილეს.

ბუჯიაშვილს კობა მიხეილის ძეს — საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებისა და მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის № 2 მოძრავი მექანიზებული კოლონის უფროსს.

თოთბაძეს გიორგი ალექსანდრეს ძეს — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილეს.

კიკნაძეს ლევან ლევანის ძეს — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საქმთავარწყალმშენის უფროსის მოადგილეს.

ნაცვლიშვილს ანრი გიორგის ძეს — საპროექტო ინსტიტუტ „საქსახწყალპროექტის“ მთავარი ინჟინრის მოადგილეს.

სულაქველიძეს ლევან ალექსანდრეს ძეს — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სექტორის გამგეს.

ღლონტს დიმიტრი ნიკოლოზის ძეს — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საქმთავარწყალმშენის ტრესტ „ორგწყალმშენის“ მთავარ სპეციალისტს.

ჯიღაურს მიხეილ გიორგის ძეს — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საქმთავარწყალმშენის ტრესტ „ალაზანმშენის“ მმართველს.

„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორის“

გვასალიას შალვა ყარამანის ძეს — ზუგდიდის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს ტრაქტორისტს.

დავიდოვს ალექსანდრე დიმიტრის ძეს — საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებისა და მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის № 11 მოძრავი მექანიზებული კოლონის ექსკავატორის მემანქანეს.

კაზარაშვილს ედუარდ ივანეს ძეს — საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებისა და მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის № 11 მოძრავი მექანიზებული კოლონის მთავარ ინჟინერს.

ჯოლოხავას პლატონ ვასილის ძეს — საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებისა და მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის № 10 მოძრავი მექანიზებული კოლონის ექსკავატორის მემანქანეს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ენერგეტიკოსი“

კოლენსიკოვს ოლეგ დიმიტრის ძეს — საპროექტო ინსტიტუტ „საქსან-წყალპროექტის“ განყოფილების მთავარ სპეციალისტს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ბულაღტერი“

ბუცხრიკიძეს დავით დომენტის ძეს — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საქმთავარწყალმშენის საკონტროლო-სარევიზიო განყოფილების უფროს რევიზორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 16 ივნისი.

ბრძანებულია საჭარტველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

222 სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის ამიერკავკასიის რეგიონალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაკებისათვის საჭარტველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ბუნების დაცვის დარგებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის ამიერკავკასიის რეგიონალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაკებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი“

ნელაძეს გიორგი გიორგის ძეს — ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს
 ცერცვაძეს შალვა ივანეს ძეს — ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრო-
 მელს

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

ჩიკვაძეს გურამ დიმიტრის ძეს — ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს,
 ხერხეულიძეს გიორგი ირაკლის ძეს — ინსტიტუტის განყოფილების გამ-
 გეს.

„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი“

ბართიშვილს იასე თევდორეს ძეს — ინსტიტუტის უფროს ინჟინერს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული მეტყვევე“

ზარიძეს გიორგი ალექსანდრეს ძეს — ინსტიტუტის უფროს ინჟინერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. გილაშვილი.
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 16 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

223 თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის
 სახელმწიფო აკადემიური თეატრის მუშაკებისათვის „საქართ-
 ველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭე-
 ბის შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისა
 და ნაყოფიერი საშემსრულებლო მოღვაწეობისათვის საპატიო წოდება „სა-
 ქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“ მიენიჭოთ თბილისის ზ. ფალიაშ-
 ვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის
 მუშაკებს:

ბერიძეს გიორგი მაქსიმეს ძეს — ორკესტრის მსახიობს.

მილიანს ერვანდ მინასის ძეს — ორკესტრის მსახიობს.

მუჭერიას ბორის შალვას ძეს — ორკესტრის მსახიობს.

ქათამაძეს ევგენი ივანეს ძეს — ორკესტრის მსახიობს.

ღვედაშვილს ლიანა გიორგის ასულს — ოპერის სოლისტს.
 დოლობერიძეს ვლადიმერ ლევანის ძეს — ორკესტრის მსახიობს.
 ხოფერიას ნოდარ ანდრიას ძეს — ორკესტრის მსახიობს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 16 ივნისი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

224 საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრის მსახიობებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისა და ნაყოფიერი საშემსრულებლო მოღვაწეობისათვის საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“ მიენიჭოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრის მსახიობებს:

ბონდარევსკის მოსე ბორისის ძეს.

მაწკებლაძეს მურთაზ შაქროს ძეს.

ოგანეზოვს იური ივანეს ძეს.

საფარიშვილს შალვა იოსების ძეს.

ხმალაძეს დავით სიმონის ძეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 16 ივნისი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

225 საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის და ქ. ბათუმში პირველი ქართული სპექტაკლის დადგმის 100 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“

